# „112"-ის ლექციები...

№7

მაისი
2014

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, ნინო მიქაუტაძე, ნატალია გელაშვილი, სალომე გელუტაშვილი, დავით ჭანტურია, შალვა კუხიანიძე

დიზაინი თეა კუპრაძე

სასწავლო კურსი ზარის მიმღებთათვის „მედიქლაბჯორჯია"-ში 83.4

ბელარუსის საგანგებო სიტუაციების მინისტრი 112-ს ესტუმრა 83.5

მაშველი-ინსტრუქტორი 83.6-7

„1 წუთი მაესტროზე" 83.8-9

სამედიცინო პროექტი „ემერჯენსი" 83.9

ახალი ცხელი ხაზი 101 - არასაგანგებო ზარებისათვის 83.10

მუსიკალური კლიპი არასაგანგებო ნომრის ცნობადობის ამაღლებისათვის 83.11

83.12-14 საუბარი ზარის ინიციატორსა და ოპერატორს შორის

83.15-17 სხვა კუთხით დანახული 112-ელები

83.18 შინაგან საქმეთა მინისტრმა თანამშრომელ ქალბატონებს 8 მარტი პირადად მიულოცა

83.19 112-ის თანამშრომლები ქალთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე პარლამენტში იმყოფებოდნენ

83.20 ეს საინტერესოა

83.21 სახალისო ისტორიები

83.22-23 ოქროს წესები გასაუბრებაზე

83.24 სტატისტიკა, მილოცვები

83.25 ფოტოკონკურსი

## სასწავლო კურსი ზარის მიმღებთათვის "მედიქლაბჯორჯია"-ში

გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრმა, 2013 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, ოპერატორების კვალიფიკაციის ამაღლების და სამსახურის ეფექტური მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, თანამშრომლები გადაამზადა.

"მედიქლაბჯორჯია"-ს რესურს ცენტრში ოპერატორებმა შეისწავლეს ყველა ძირითადი სამედიცინო ინციდენტის ტიპი და მიიღეს საჭირო ინფორმაცია თუ, როგორ უნდა მართონ სატელეფონო ინტერვიუ ეფექტურად ზარის ინიციატორთან.

სასწავლო კურსი, "გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ზარის მიმღებთათვის", 112-ის 130-მა თანამშრომელმა წარმატებით გაიარა.

კურსის დასასრულს მათ სპეციალური მეთოდური სახელმძღვანელო და სერტიფიკატები გადაეცათ.



## ბელარუსის საგანგებო სიტუაციების მინისტრი 112-ს ესტუმრა

ბელარუსის საგანგებო სიტუაციების მინისტრი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ვაშჩენკო, 2014 წლის 12 მარტს, დელეგაციასთან ერთად, შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრს ესტუმრა. მათ დაათვალიერეს 112-ის შენობა და ადგილზე გაეცნენ ცენტრის მუშაობის სპეციფიკას.

112-ის წარმომადგენლებმა სტუმრებს პრეზენტაციის სახით გააცნეს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის ფუნქციები და სამომავლო გეგმები. შეხვედრაზე მხარეებმა ბელარუსსა და საქართველოს შორის სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

ვიზიტის დასასრულს, 112-ის დირექტორმა, გიორგი ბიჭაშვილმა, სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

## მაშველი-ინსტრუქტორი

*"სიკეთე მადლობის სათქმელად არ უნდა აკეთო, უნდა გსიამოვნებდეს" - ეს სიტყვები მახარე ბზეკალავას ეკუთვნის, ის 16 წელია მაშველია და ყველაზე რთულ შემთხვევებში ხალხს ეხმარება.*

**- რატომ გადაწყვიტეთ გამხდარიყავით მაშველი?**

- სპორტსმენი ვიყავი, რაგბის ვთამაშობდი დინამოში, ამ დროს ყალიბდებოდა სამაშველო სამსახური და გამიწიეს რეკომენდაცია, მეც დავთანხმდი. 1998 წლიდან მაშველი ვარ.

**- რით არის გამორჩეული თქვენი პროფესია?**

- ყველა საქმეს ცოდნა სჭირდება, მაშველის პროფესია, როგორც მეხანძრის, პოლიციელის და სასწრაფო დახმარების ექიმის სიცოცხლის რისკთან არის დაკავშირებული. ალბათ ამიტომ არის სხვა პროფესიებისგან გამორჩეული, ყოველდღიურად არ იცი რა სირთულის გამოძახებაზე მოგიწევს გასვლა. მთავარია შენი საქმე გიყვარდეს და იცოდე როგორ აკეთო.

**- რა სირთულეები იჩენს ყოველდღიურად თავს?**

- ყოველდღიურად ჩართული ვარ სწავლებებში, ვარ ინსტრუქტორი და ახალგაზრდებს მაშველის პროფესიას ვასწავლი. სწავლებებთან ერთად, მიწევს ყველაზე რთულ გამოძახებებზე გასვლა. მაგ: გაყინულ წყალში ყვინთვა, მთაში მუშაობა, ყოფილა შემთხვევები რომ 18 საათი ფეხით მივლია მთაში და დაზარალებული გადმომიყვანია. ყველა ეს ფიზიკური

სირთულეა, რომელსაც მაშველი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს და გაუმკლავდეს.

**- რა პრობლემები აქვთ დღეს მაშველებს და როგორ უნდა გაუმჯობესდეს?**

- სპეციალური სამოსები და ტექნიკა-აღჭურვილობები შეძენილია და ამ მხრივ პრობლემა არ გვაქვს. ძალიან კარგია, რომ რთულ რეგიონებშიც შეიქმნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურები, უფრო სწრაფად ხდება გამოძახებებზე გასვლა.

ვფიქრობ, ჩვენი სამსახურისთვის, კარგი იქნებოდა, ვერტმფრენი ჩვენს ბალანსზე რომ იყოს, უფრო სწრაფად მოხდებოდა რეაგირება.

მაშველების მიერ მოყოლილი ისტორიები განსაკუთრებულად საინტერესოა, მათ ბევრ ექსტრემალურ შემთხვევაზე უწევთ მუშაობა. ბატონმა მახარემ რამდენიმე შემთხვევა გაიხსენა:

- შარშან ზაფხულში შემოვიდა შეტყობინება, რომ სამეგრელოში, ტობოვარჩხილის ტბასთან, ახალგაზრდა ბიჭი გადაიჩეხა, სავარაუდოდ ფეხის და ბეჭის მოტეხილობა ჰქონდა, სჭირდებოდა ევაკუაცია. ჩვენ გადავფრინდით, მაგრამ ვერ ვიპოვეთ, ისეთი ადგილი იყო ხეობაში, რომ ვერტმფრენი ვერ დაჯდა, ამიტომ მაშველები დავრჩით და განვაგრძეთ ძებნა, მოგვიწია ღამის გათენება. მეორე დღეს, საბედნიეროდ, ცოცხალი ვიპოვეთ. 9 საათი საკაცით ვატარეთ, გამაყუჩებლები გავუკეთეთ და სამშვიდობოს გამოვიყვანეთ.

ასევე რთული და მძიმე შემთხვევა იყო, შარშანწინ უშბაზე, სადაც უკრაინელი მთამსვლელები გადაიჩეხნენ. ვერტმფრენით ავფრინდით, სიმაღლე დაახლოებით 4 300 მეტრი იყო, თოკის საშუალებით ვეკიდე კლდეზე 23 წუთის განმავლობაში, სამწუხაროდ, მთასვლელები დაღუპულები აღმოჩნდნენ. ყველაზე რთულია, როცა ადამიანის გადარჩენა ვერ ხერხდება.

ინტერვიუს ბოლოს ბატონმა მახარემ მოსახლეობას მოუწოდა, რომ რთულ სიტუაციებში, მაგალითად როცა ავარიაა, თუ იცით როგორ დაეხმაროთ დაზარალებულს, მაშინ დაეხმარეთ, თუ არადა მის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნით. სამწუხაროდ, ადამიანებმა არ იციან როგორ აღმოუჩინონ პირველადი სამედიცინო დახმარება. ამიტომ უმჯობესია დარეკოთ 112-ზე და გამოიძახოთ შესაბამისი სამსახური.

## "1 წუთი მაესტროზე"

სატელევიზიო რუბრიკის ტიპის პროექტი "1 წუთი მაესტროზე", რამდენიმე თვეა ტელეკომპანია "მაესტროს" ეთერით მაუწყებლობს. ამ პროექტის მიზანია საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელს დაუთმოს ტელეეთერი. პროექტი საშუალებას აძლევს ადამიანებს საკუთარი პრობლემა, სატკივარი, სათქმელი გამოთქვან და გააგებინონ ფართო აუდიტორიას. "1 წუთის" გამოყენება შეუძლია ყველა ასაკის, სქესის, სოციალური ჯგუფის, კონფესიის ადამიანს.

მაესტროს სატელევიზიო ტიპის პროექტში 112-ის ოპერატორებმაც მიიღეს მონაწილეობა, ოპერატორმა, ირმა მჭედლიშვილმა, თავისი "1 წუთი" მძღოლებს დაუთმო:

"ყოველდღიურად 112-ში უამრავი ზარი შემოდის, რომელიც სწრაფ რეაგირებას საჭიროებს. მაშინ, როდესაც ხედავთ საპატრულო, სასწრაფო-სამედიცინო და სახანძრო-სამაშველო სამსახურების ეკიპაჟებს, რომლებიც ცდილობენ დროულად მივიდნენ დანიშნულების ადგილზე და როდესაც, წამები მართლა გადამწყვეტია, მნიშვნელოვანია, გზის დათმობა. იფიქრე მასზე ვისაც სჭირდება დახმარება, რათა სხვა დროს სხვამ იზრუნოს შენზე."

ნინო პატარქალიშვილმა, თავისი "1 წუთი" იმ მოქალაქეებს დაუთმო, რომლებიც ყოველ-

დღიურად რეკავენ დახმარების მისაღებად 112-ში:

"მინდა ვთხოვო ყველა მოქალაქეს - შეძლებისდაგვარად, არ ჩავარდეთ პანიკაში, უპასუხეთ ოპერატორის მიერ დასმულ შეკითხვებს, რადგან ზუსტი ინფორმაცია ეხმარება 112-ს, შეძლოს ოპერატიული დახმარების აღმოჩენა. შესაძლოა, სწორედ თქვენ აღმოჩნდეთ ის ადამიანი, რომელმაც ამ მოქალაქის გადარჩენა შეძლო."

## სამედიცინო პროექტი "ემერჯენსი"

112-ის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რომელიც მთელი ევროპის მასშტაბით, ყოველი წლის 11 თებერვალს აღინიშნება, ტელეკომპანია იმედის პროექტი "ემერჯენსი" 112-ის მუშაობას დაეთმო.

სიუჟეტში ნაჩვენები იყო შინაგან საქმეთა მინისტრის, ალექსანდრე ჭიკაიძის, ვიზიტი 112-ში. რომელმაც მოინახულა ცენტრი, გაეცნო მის მუშაობას, განხორციელებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებს. მან ხუთი წარჩინებული თანამშრომელი მადლობის სიგელით დააჯილდოვა. ასევე 112-ის დირექტორმა, გიორგი ბიჭაშვილმა, 112-ის საერთაშორისო დღე მიულოცა ყველა თანამშრომელს და დიდი მადლობა გადაუხადა მათ გაწეული მუშაობისათვის.

EMERGENCY
სასწრაფო დახმარება

## ახალი ცხელი ხაზი
## 101 - არასაგანგებო ზარებისათვის

ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის დეპარტამენტმა შეცვალა თავისი ტელეფონის ნომერი არასაგანგებო ზარებისათვის. მათ ვისაც სურს პოლიციასთან დაკავშირება, არასაგანგებო შემთვევებში, უნდა აკრიფონ 101. ამ ნომერმა შეცვალა ნომერი 0845 600 8000, რომელიც მოქმედებდა 2005 წლიდან.

პოლიციის უფროსმა, მეტ ბაგოტმა, განაცხადა, რომ ეს ნომერი დაეხმარება საგანგებო ცხელ ხაზს 999-ს კონცეტრაცია მოახდინოს მიზნობრივ ზარებზე. მან ასევე დაამატა, რომ ახალი არასაგანგებო ნომრის შემოღება ერთ-ერთი ეტაპია იმ გეგმისა, რომელმაც პოლიცია და მოსახლეობა უნდა დაახლოვოს ერთმანეთთან და ჩამოაყალიბოს ურთიერთნდობა.

პოლიციის მმართველი საბჭოს თავმჯდომარემ, ენი კონოლიმ, განაცხადა, რომ მოსახლეობისათვის ახალი ნომერი უფრო ხელმისაწვდომი იქნება.

101-ზე უნდა დარეკონ შემდეგი სახის შემთხვევების დროს:

- 112 მსუბუქი შეჯახებებისას, რომლებიც არ მოითხოვს საგანგებო რეაგირებას;
- 112 ოპერატიული ინფორმაცია ადრე მომხდარი სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ;
- 112 ოპერატიული ინფორმაცია საეჭვო (შესაძლო) დამნაშავეებისა და ნარკოტიკების გამსაღებლებსა და სხვა ანტი-საზოგადოებრივი ქმედებების შესახებ.

პოლიციის არასაგანგებო ნომერი 101 პირველად შემოიღეს ინგლისში 2006 წელს და ის ფარავს ინგლისისა და უელსის მთელ ტერიტორიას.

## მუსიკალური კლიპი არასაგანგებო ნომრის ცნობადობის ამაღლებისათვის

როკის საგრაფოს (ვისკონსინი, აშშ) 911-ის სადისპეტჩერომ გადაწყვიტა, შემოქმედებითი გზით შეამციროს არამიზნობრივი ზარების ოდენობა, რომელიც ბოლო წლებში საკმაოდ სეროზულ პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივი ქოლ-ცენტრის ოპერატორებისათვის.

911-ის დისპეტჩერის, ტრიშია ბოგდანას, განცხადებით 10-დან 9 ზარი არასაგანგებოა, მაგრამ მოქალაქეები ამბობენ, რომ მათ არ იციან თავინთი საჭიროებისათვის, რომელ არასაგანგებო ნომერზე უნდა დარეკონ. ამიტომ როკის საგრაფოს საკომუნიკაციო ცენტრმა, გადაწყვიტა შეექმნათ მელოდია და გადაეღოთ მუსიკალური კლიპი არასაგანგებო ნომრის შესახებ.

ადგილობრივმა მუსიკოსმა ჯემი ქემბლემმა ჩაწერა სიმღერა, რომელიც მარტივია და სახალისო, მაგრამ მკაფიოდ აწვდის მიზნობრივ გზავნილს აუდიტორიას.

## საუბარი ზარის ინიციატორსა და ოპერატორს შორის

სუზი ბრენტის საინტერესო წიგნში „NEE NAW: Real Life Dispatches From Ambulance Control.", ერთ-ერთი ძირითადი თემაა, თუ როგორ უნდა დავრეკოთ გადაუდებელი დახმარების ცენტრში და რა კითხვებს უნდა გავცეთ პასუხი.

„ადამიანები ფიქრობენ, რომ ჩვენ ვუსვამთ ყველაზე სულელურ შეკითხვებს, როცა მათ თვალწინ საყვარელ ადამიანს დახმარება სჭირდება. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, მაგ: ლონდონის გარეუბანი, Tesco-ს გარეთ, მხოლოდ ამ ინფორმაციის საფუძველზე არ შეგვიძლია ბრიგადა გამოვგზავნოთ. ზარის ინიციატორები ფიქრობენ, რომ რეალურ ცხოვრებაშიც ისეა, როგორც ფილმებში და სერიალებში, როცა მსახიობი კრიფავს 999-ს და და ამ დროს სასწრაფო დახმარების მანქანის ხმოვანი სიგნალი ისმის.

999-ზე დარეკვა გულისხმობს ზარის მიმღებსა და ინიციატორს შორის რთულ და მძიმე სამუშაოს. მოქალაქეების ძირითადი პრობლემა გაუნათლებლობაა, გადაუდებელი დახმარების ცენტრში დარეკვა, რომ სკოლაში ან პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კურსზე ისწავლებოდეს, მაშინ სიტუაცია საგრძნობლად შეიცვლებოდა.

მთავარი მიზანია, მოქალაქემ გაიაზროს, რომ ჩვენ ვუსვამთ შეკითხვას, რათა მათ მიიღონ დროული დახმარება.

თანმიმდევრულად მივყვეთ, რა ხდება როცა 999-ზე რეკავთ:

პირველი შეკითხვაა - რომელი სერვისი გსურთ? ოპერატორს ეუბნებით, რომელი სამსახურის დახმარება გესაჭიროებათ, მაგალითად თუ თქვენ გჭირდებათ სასწრაფო დახმარება, ის გაკავშირებთ სასწრაფო დახმარების დისპეტჩერთან და არა ოპერატორ-

თან. დისპეტჩერებს არ მოსწონთ, როცა მათაც ოპერატორებად მოიხსენიებენ.

შემდეგი კითხვა - რა მოხდა? თქვენ მშვიდად და გარკვევით უნდა უპასუხოთ. მნიშვნელოვანია, ჩამოთვალოთ სიმპტომები, პრიორიტეტების მიხედვით. ჩვენ გვირჩევნია, მოვისმინოთ სიმპტომები და არა უკვე თქვენ მიერ დასმული დიაგნოზი. მაგრამ არის შემთხვევა, როცა ადამიანი იღუპება, ამ შემთხვევაში მხოლოდ ეს სიტყვებიც კმარა.

ხშირად შემოდის პანიკური ზარები, ამ შემთხვევაში ზარის მიმღებმა უნდა შეარჩიოს სპეციალური ფორმა ზარის ინიციატორთან სასაუბროდ.

როცა ვიგებთ, რა მოხდა და დიაგნოზი დადგენილია, შემდეგი ეტაპი, მისამართის დადგენაა. მოქალაქემ გარკვევით უნდა მიაწოდოს ზარის მიმღებს სრული მისამართი.

სამი მნიშვნელოვანი მიზეზი, თუ რატომ უნდა უპასუხოთ კითხვებს:

112 კითხვების მეშვეობით ხდება ინფორმაციის შეგროვება, რაც გაუადვილებს სასწრაფო დახმარების ექიმებს მოქალაქესთან ურთიერთობას, მათ ეცოდინებათ საიდან დაიწყონ და არ დახარჯავენ დროს.

112 კითხვების მეშვეობით ხდება ინციდენტის ტიპის განსაზღვრა.

112 ზარის მიმღებთან ურთიერთობით, თქვენ მიიღებთ საჭირო დახმარებას და რჩევებს, სასწრაფო დახმარების მანქანის მოლოდინში."

**როგორ და რა შემთხვევაში უნდა დარეკონ საქართველოს 112-ზე, რა შეკითხვებს უნდა უპასუხონ მოქალაქეებმა, ამას ცვლის უფროსის თანაშემწე ვერა მელაძე გვიამბობს:**

112-ზე დარეკვისას თქვენ უნდა აკრიფოთ ნომერი ყოველგვარი პრეფიქსის გარეშე; დარეკვა შეგიძლიათ, როგორც ფიქსირებული ტელეფონიდან, ასევე მობილურით;

112-თან დაკავშირება შესაძლებელია, თუ ფიქსირებული ტელეფონი ან მობილური

ორმხრივად არის გათიშული ან მობილურ ტელეფონში არ დევს  სიმ-ბარათი.

112-ზე უნდა დარეკოთ, მაშინ როცა ნამდვილად გესაჭიროებათ დახმარება, (საპატრულო პოლიციის, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების და სახანძრო-სამაშველო სამსახურის).

ცრუ გამოძახების მიზნით 112 არ უნდა აკრიფოთ!!!

პირველი სიტყვა, როცა მოჭალაჭის ზარის შემოდის არის: „112 გისმენთ!“

შემდეგი მთავარი კითხვაა: რა მოხდა? რა შემთხვევაა?

თითოეული დეტალის  ცოდნა მნიშვნელოვანია, რათა ოპერატორმა იცოდეს რომელი სამსახურის რეაგირებაა საჭირო.

მნიშვნელოვანია გადმოვცეთ რეალურად სიტუაცია, სამედიცინო კუთხით კი, ოპერატორს ვუთხრათ სიმპტომები და არა უკვე დიაგნოზი.  თითოეული სიტყვა ინიციატორის მიერ ნათქვამი არის პირველ რიგში დაზარალებულის გადასარჩენად ნათქვამი.

მეორე ეტაპი, მისამართის დადგენაა. აუცილებელია მისამართი ვთქვათ გარკვევით, თუ არ ვიცით ზუსტი ტერიტორია, მაშინ უნდა აღწეროთ ადგილი ან გააჩეროთ გამვლელი და კითხოთ. არასწორი მისამართის შემთხვევაში ჩვენ ვერ აღმოგიჩენთ დროულად დახმარებას.

ხშირია,  როცა მოჭალაჭეებმა არ იციან მათი ზუსტი მისამართი, სადარბაზოს ნომერი და ა.შ ეს აფერხებს დროულად მისამართზე მისვლას.

მესამე შეკითხვაა დაზარალებულის სახელი და გვარი. ძალიან მნიშვნელოვანია დაზარალებულის სახელი და გვარის ცოდნა, განსაკუთრებით რაიონებში, სადაც სახელი და გვარით მარტივად მიდიან მისამართზე.

ეცადეთ მშვიდად უპასუხოთ ამ შეკითხვებს, რათა დროულად აღმოგიჩინოთ დახმარება.

## ანა ბარბაქაძე

23 წლის
112-ის ზარის მიმღები

*23 წლის ანა ბარბაქაძე 112-ის ზარის მიმღებია. დატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, ანა, საყვარელ საქმიანობისთვის დროს ყოველთვის პოულობს.*

*ის 15 წლის ასაკიდან ლექსებს წერს და უკვე სამოცზე მეტი ლექსის ავტორია. პირველი ლექსი, რატომღაც რუსულ ენაზე დაწერა. ნიჭიერი სტუდენტის ლექსები საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებულ ჟურნალ "პარალელში" დაბეჭდეს. წერასთან ერთად, ანა ბარბაქაძე, მუსიკალურ კომპოზიციებზე მუშაობს და საკუთარი კომპოზიციების, ინგლისური ტექსტის, ავტორიც თავად არის.*

*მუშაობის და საყვარელი საქმიანობის პარალელურად ანა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის ფაკულტეტის სტუდენტია.*



ორ შავ ღრუბელში ჩაძირულ მთვარეს
ბობოქარ ზვავებს, დანგრეულ მხარეს
სადაც სიცოცხლის შუქი ვერ ელავს
სადაც ვიღაცა უაზროდ ღელავს
იქ თვით უკვდავიც ხდება მოკვდავი,
იქ თვით დემონიც ვერ ბედავს შესვლას
მიწა-ჩანგრეულ, კლდე-დანგრეულ
გაპარტახებულ შორეულ მხარეს
ვხედავ ვიღაცას შავ ნისლში გაბმულს,
ვინც თვით სიკვდილსაც აჯობა მედგრად
მას აქეთ არის, რომ მას აგდებენ,
ის ხომ ყველაფერს სხვაგვარად ხედავს
ხელაპყრობილი, მუხლებდამხობილს,
მიწაგამოთხრილს შორს შავფრად ვხედავ
მისი სიტყვები გულში ჩამესო და მე
წარმოვთქვი გრძნეულსა გხედავ,
მან დაიმონა თვითონ დემონიც
მასვე მონობენ ბერნი ზემონიც
და ვხედავ როგორ მასვე აქებენ
და კერპად ხდიან ვინც მას აგდებდნენ,
ეს დღეც დადგა, იხარეთ ერო,
შენ შენი სიტყვა წარმოსთქვი ბერო
და მეც შენნაირ ცხოვრებას ვირჩევ
შენთვის ვიომებ და შენთვის ვიყღერ.

ადრე მეგონა, რომ მე ვიცოდი,
ის რაც არასდროს მე არ ვიცოდი,
მაგრამ ახლა ვგრძნობ მე ის არ ვიცი,
რაც ადრე ცოდნით მქონდა ნაფიცი,
შევიგრძნობ ფერებს, ნისლის ქაოსში,
გავკვეთავ ძარღვებს ცოდვილთა ბრბოში,
თვალებს დავითხრი და სხვას ჩავუსვამ,
რომ მივახვედრო რა ვერ აღსრულდა,
ტკივილს გავიხდი მე ჩირაღდანად,
კივილს გავიხდი მე ჩემს სიგნალად
და ვივლი მანამ, სანამ არ ვნახავ,
თუ როგორ ჰქრება ჩემი იარა,
მე ჩავეშვები ცოდნის საყდარში,
როგორც უსულო გვამი საფლავში
და ვიტყვი რატომ, რისთვის მომკალით,
ვისთვის დაჩრდილეთ ჩემი მორალი,
თქვენთან მე მქონდა უსრული ტანჯვა
და თქვენ მომგვარეთ სასრული სხვა გზა,
მაგრამ ნაძვნარი როდის გამხმარა,
როცა სიცივემ კალთით დაჰფარა.

ისევ კალამი, ისევ ლანდები
ფიქრში უაზროდ კვლავ ვიბლანდები
თავში ქარივით გრგვინავს დარდები
გულში კვლავ გადის სხვისი ძარღვები,
უნდო უღელში კვლავ ვიმალები
ყელში კვლავ ჰყეფენ სხვისი გლანდები,
ოხვრა ვაებით გამყავს წამები
დრო და დრო ვხვდები ,რომ ვიკარგები.
მე არ მივყვები დროის დინებას
და ჩემთვის ვიწყებ ახლის ძიებას
ქარს შემთვის მოაქვს ყველას ამბავი,
იმის აქ მოსვლას მაცნობს დალალი.
ყურში სისინით მიამბობს ამბავს
სითბოს დრო და დრო ხელებით ფანტავს
გული სიცივეს, იყენებს საბნად
და ისევ ლოცვით თხოულობს სავალს,
ენა ბორძიკობს, სწორ სიტყვებს ფანტავს
აზრზს ვეღარ ვიკრებ სიცივე მტანჯავს
ისევ ნიღაბით ჩემს წარსულს ვკარგავ,
იმერ ცხოვრებას მე ისევ ვქარგავ
და ჩემს გულის ფიქრს ღამეში ვკარგავ.

ოცნება გაქრა, ვეღარას ვამბობ
ჩემ გზას მოვყვები ეულად წრფელი,
გულის სიღრმეში არაფერს ვნანობ
ეხ, ბედისწერა ყოფილა ძნელი,
ჯერ ახალგაზრდა, მაგრამ ბებერი
გაპარტახებულ ბილიკს მივყვები
ირგვლივ არავინ არაფერს ამბობს,
მხოლოდ ნიავი თავისთვის მღერის,
მე მოვისმინე მისი სიმღერა
გული მომიკვდა გარდმომხდა ცრემლი,
თურმე ჩემსავით ბედმა გაწირა
და დაუტოვა განცდები მწველი,
რომ დამინახა, გაცლა მოუნდა
მარტო უნდოდა სიკვდილის ცქერა,
მე გავეკიდე გულის კივილით,
ჩოქვით ვედრებით დავუწყე დევნა,
თან მივაძახე, ნუ მიმატოვებ,
ნუ დამიტოვებ წუხილს და გვემას,
არ მომისმინა უცებ განმშორდა,
ვერ დავეწიე მომაწვა სევდა,
გულის სიღრმეში არღარა მსურდა,
ისევ მარტო ვარ, ვერაფერს ვბედავ
აღელვებულმა ზეცას შევცქირე
თითქოს ვლამობდი წასვლას იმ ქვეყნად.



## შინაგან საქმეთა მინისტრმა თანამშრომელ ქალბატონებს 8 მარტი პირადად მიულოცა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ თანამშრომელ ქალბატონებს ქალთა საერთაშორისო დღე პირადად მიულოცა. მინისტრმა სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის სამინისტროს 54 თანამშრომელი ქალბატონი, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, მადლობის სიგელებით დააჯილდოვა.

ასევე, შინაგან საქმეთა მინისტრის სახელით, 8 მარტს, შსს-ს სხვადასხვა ქვედანაყოფის 213 თანამშრომელ ქალბატონს სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის მადლობის სიგელი გაეგზავნა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ორივე სქესის პირთათვის დასაქმების თანაბარ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. ქალი პოლიციელის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვნების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე, ოჯახური ძალადობის ფაქტებსა და ტრეფიკინგის საქმეებზე მუშაობისას. უახლოეს პერიოდში სამინისტროში დასაქმებულ ქალთა რაოდენობის გაზრდა 20%-მდე იგეგმება.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ქალთა საერთაშორისო დღე, 8 მარტი, პირველად 2013 წელს აღინიშნა და შს ყოფილი მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის, ინიციატივით ტრადიციად დამკვიდრდა.

## 112-ის თანამშრომლები ქალთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე პარლამენტში იმყოფებოდნენ

პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებული ქალებისთვის მიღება გამართა.

მიღებას შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტის თანამშრომლები ირმა უტიაშვილი, ეკა რევაზიშვილი, შორენა მერაბიშვილი, ეკატერინე სალუქვაძე და თეა ნიკოლაიშვილი ესწრებოდნენ.

70 ოფიცერ ქალს დღესასწაული პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ მანანა კობახიძემ, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა და გენდერული თანასწორობის საბჭოს სხვა წევრებმა მიულოცეს.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების შექმნას ბიძგი მისცა ვენის კომედიის თეატრის ხანძარმა, რომელიც 1881 წლის 8 დეკემბერს მოხდა. ამ სამწუხარო მოვლენას 479 ადამიანი შეეწირა.

თეატრის წინ თოვლზე უამრავი დასახიჩრებული ცხედარი ეგდო. დაზარალებულები რამდენიმე დღის მანძილზე ვერ იღებდნენ პირველად სამედიცინო დახმარებას, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ვენაში უამრავი მაღალი ხარისხის სამედიცინო დაწესებულება იყო.

ამ საშინელმა მოვლენამ ძალიან შეაშფოთა მედიცინის პროფესორი და ცნობილი ქირურგი იარომირ მუნდი. ის უსუსური აღმოჩნდა კატასროფის წინაშე და ვერ უწევდა დახმარებას თეატრის წინ მიმოფანტულ დაზარალებულებს.

ხანძრის შემდეგ, მეორე დღეს, ექიმი ვენის მოხალისე მაშველთა საზოგადოების შექმნას შეუდგა. მსხვილმა მეწარმემ და მეცენატმა გრაფმა ჰანს ჰილჩეკმა აღნიშნულ საზოგადოებას შეწირა 100 ათასი გულდენი. ამ საზოგადოების მიერ შეიქმნა სახანძრო, მდინარის სამაშველო სამსახურები და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგური. თავისი არსებობის პირველივე წელს, სადგურმა 2067 დაზარალებულს გაუწია დახმარება. ბრიგადების შემადგენლობაში ირიცხებოდნენ ექიმები და სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტები.

"გაუგებრობაში" ჩავარდნილი ცხოველების ისტორიები გრძელდება. საზღვრის უკანონოდ კვეთა მძიმე დანაშაულია, როგორც სპილოსთვის, ისე მაიმუნისთვის?

## ბხოლა - „უკანონო ემიგრანტი“

ბხოლა სპილოა, რომელიც ინდოეთში საზღვრის გადაკვეთის მცდელობისათვის დააპატიმრეს. ის სატვირთო ავტომობილთან შეჯახების შემდეგ სამკურნალოდ მიყავდათ. ბხოლას სერიოზული ტრავმები ჰქონდა მიღებული, მათ შორის სიბრმავეც. სპილოს პატრონი, შესაბამისი დოკუმენტებით, სასამართლოში არ გამოჩენილა. ამიტომ, ხელისუფლებამ ბხოლა ველური ბუნების დაცვის ორგანიზაციას გადასცა.

## ბობი - „ინდოელი პაკისტანში“

ბობი ინდოელი მაიმუნია და მისი დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ მან "უკანონოდ" გადალახა ინდოეთისა და პაკისტანის საზღვარი. ბხოლასაგან განსხვავებით, ბობი იყო გარეული ცხოველი, ამიტომაც დანამდვილებით ცნობილია, რომ მის გადაყვანას კონტრაბანდით არავინ ცდილობდა. ის უბრალოდ დაძრწოდა და შემთხვევით მოხვდა პაკისტანის ტერიტორიაზე. მას შემდეგ, რაც ის შენიშნეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, რომლებმაც ვერ შეძლეს დაეჭირათ მოულოდნელი ტურისტი, პოლიციამ დაიჭირა მაიმუნი და გადასცა ის ზოოპარკს, სადაც მას ბობი დაარქვეს.

## მკვლელი ძროხა

2005 წელს ნიგერიაში, ლაგოსში (Lagos), ძროხა დააპატიმრეს ავტობუსის მძღოლის მკვლელობისათვის, რომელიც გზის პირას გაჩერდა შესასვენებლად. ძროხა უკნიდან დაეჯახა მძღოლს, წააქცია და ფეხებით და რქებით იმდენი მოახერხა, რომ ადამიანი მოკლა. ძროხამ ჭრილობები რამდენიმე გამვლელსაც მიაყენა. ხალხმა მოითხოვა, რომ ძროხა ადგილზე მოეკლათ, მაგრამ პოლიციის ოფიცერმა ბრძანა, რომ ის დაეპატიმრებინათ და პოლიციის განყოფილებაში მიეყვანათ.

## ოქროს წესები გასაუბრებაზე

გასაუბრება პირველი შთაბეჭდილებაა, რომელსაც პოტენციურ დამქირავებელზე ახდენ, შესაბამისად, ეს თქვენი ურთიერთობის საწყისი და ერთ-ერთი ყველაზე მნიშნელოვანი ეტაპია. გამსაუბრებელს კანდიდატზე შეხედულება უყალიბდება შეხვედრის პირველი რამდენიმე წუთის განმავლობაში, ამიტომ რაც უნდა გააკეთო შემდგომ, ვერ შეცვლი მის წინასწარ შექმნილ განწყობას შენ მიმართ.

### დროის მენეჯმენტი

ნუ დააგვიანებ. არ აქვს მნიშვნელობა "საცობში გაიჭედე", "მანქანა შუა გზაზე გაგიფუჭდა", "ძალიან რთულად მისაგნები ოფისია", თუ რაღაც სხვა შეგემთხვა. არ უნდა დააგვიანო. წინასწარ განსაზღვრე მარშრუტი, ზუსტად დაადგინე სად მდებარეობს ოფისი და ადრე გადი სახლიდან, რომ მშვიდად მიაღწიო დანიშნულების ადგილამდე. არც ზედმეტად ადრე მისვლა ითვლება კარგ ტონად - ეს იმას ნიშნავს, რომ დროს სწორად ვერ განსაზღვრავ.

### წვრილმანი დეტალები

მოულოდნელმა ზარმა ან შეტყობინებამ შეიძლება საგრძნობლად შეამციროს შენი შანსები ინტერვიუზე. დამქირავებელი არასოდეს გაგაფრთხილებს გამორთო მობილური ტელეფონი, როგორც ეს კინოსეანსის დაწყების წინ ხდება, ამ მცირე უხერხულობამ დამქირავებელი შეიძლება ნეგატიურად განაწყოს შენ მიმართ.

### თავისუფალი ჩაცმულობა

რაც უნდა თავისუფალი იყოს ჩაცმის სტილი ოფისში, ინტერვიუზე ჯინსით გამოცხადებისას, აუცილებლად დემონსტრაციულად დაგათვალიერებენ. დამქირავებელთა უმეტესობის მოლოდინი არის ფორმალური ჩაცმის სტილი. არ შეცდები, თუ უბრალო ქვედაბოლოს ან შარვალს და პიჯაკს აარჩევ. თითქოს პროფესიონალურ სამყაროში ჩაცმის სტილს დიდი მნიშვნელობა უკვე აღარ უნდა ენიჭებოდეს, თუმცა ეს ასე არ არის. დიახ, მნიშვნელოვანია რა გაცვია, რადგან ეს მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად სერიოზულად უდგები პოტენციურ სამუშაოს.

### ზღვარი

დამქირავებელთა 95% თვლის, რომ გამომწვევად, თუნდაც სექსუალურად ჩაცმა გასაუბრებისთვის დიდი მინუსია. 15 სანტიმეტრიანი ქუსლები, მომდგარი მოკლე ქვედაბოლო და ღრმა დეკოლტე სხვა, შესაბამისი შეხვედრისთვის შეინახე. გასაუბრებისთვის კი ზომიერად კონსერვატიული სტილი შეარჩიე.

### ფამილარული დამოკიდებულება

მომავალ ხელმძღვანელთან პოზიტიური კავშირის დამყარება ინტერვიუს დროს მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სრულად გაიხსნა და მოიქცე ისე, თითქოს დამქირავებელი შენი მეგობარი იყოს. პირდაპირობა კარგია, თუმცა ზომიერება მნიშვნელოვანია. არასოდეს ესაუბრო დამქირავებელს "შენობით".

### მატერიალიზმი

როდესაც ხელფასის შესახებ კითხვას დაგისვამენ, თავი არ აარიდო პასუხს. თუ დამქირავებელი შენგან კონკრეტულ ციფრს ითხოვს, აუცილებლად უნდა უპასუხო. ნუ მოგერიდება, ნუ გაახმოვანებ შენს მორიდებას, შენ აუცილებლად სწორად უნდა აფასებდე შენს ღირებულებას. მნიშვნელოვანია, რომ ციფრი, რომელსაც დაასახელებ, იყოს რეალისტური და გადაჭარბებით არ აფასებდეს შენს რეალურ შესაძლებლობებს.

### ნუ გალანძღავ ყოფილ უფროსს

თუნდაც ის ამის ღირსი იყოს, შენი ყოფილი სამუშაო ადგილისა თუ ხელმძღვანელობის შესახებ უარყოფითი გამოხმაურება არც ერთ ჭულას არ მოგიმატებს გასაუბრების დროს, პირიქით. ამას გარდა, ფრთხილად იყავი შენს ძველ, ან ახლანდელ ორგანიზაციაზე საუბრისას: არ წამოგცდეს კომერციული საიდუმლოება, არ გასცე ინფორმაცია, რომელიც არ არის საჯარო და რომელსაც შეუძლია შეარყიოს შენი კომპანიის რეპუტაცია.

ორიგინალურობა და ინდივიდუალურობა ყოველთვის მისასალმებელია, რადგან კონკრეტულად შენ და შენს პიროვნებას წარმოაჩენს. ნუ ისაუბრებ კლიშეებით. გულწრფელად წარმოაჩინე შენი დადებითი მხარეები.

## 112-ის გენდერული სტატისტიკა



**ანნა თანდილაშვილი**

შსს სსიპ „112“-ის ზარის მიმღები

შსს სსიპ - 112

ვაშლიჯვრისა და ნუცუბიძის
მიკრორაიონების დამაკავშირებელი
ავტობანი

ვებ-გვერდი WWW.112.GE
ელ-ფოსტა 112NEWS@112.GE